572
1976

1976 ივლისი N8

„ფიქრი"



ჩვენი ბაღის ყვავილები

აკაკი გელოვანი

უთვალავი ყვავილია
ჩვენს მთასა და ბარში;
უთვალავი სიხარული,
უთვალავი ბავშვი.
ზოგი ვენის საჯესთან ზის,
ზოგი თვითმფრინავში,
ზოგი სატავს, ზოგი ძერწავს,
ზოგიც ატომს დაშლის.
ხალხის ნიჭი გამოჩნდება
ასალ-ასალ გვარში...
სვალინდელი ექიმია
დღევანდელი ბავშვი,
ყვალინდელი მგოსანია,
ხალხებს საძმოდ შეურის,—
ყვალინდელი მშენებელი,
გამგებელი ქვეყნის.
ყვავილების ზეიმია
ჩვენს მთასა და ბარში,
საქართველოს უხარია,
რაც მეტია ბავშვი!

ნახატი **ზაურ დეისაძისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

23035

ჩუკოტკელი ლარისა

ნანა ღვინეფაძე

ნახატი მალხაზ კუხაფვილისა

— თვითმფრინავი აგვიანებს,—
ხმა გაისმა ქალისა.
დღეს ჩუკოტკას ვერ ეწვევა
პაწაწინა ლარისა.

ირემს ქუდი უჩუქნია,
მელას კუდი თავისი,
მოლოდინში დაკარგვია
მოთმინება, ხალისი.

ენატრება ხარირმები
ბოლისა და ქარისა.
— როდის წავალთ, დედიკო,—
ვერ ისვენებს ლარისა.

გორგალივით გაგორდება,—
ფეხზე ქეჩა აცვია.
მაინც სხვებზე მარჯვეა და
მაინც სხვებზე ანცია.

ცა თანდათან გახსნილიყო,
იმედი აქვთ ხვალისა,
გაფრინდება, გაფრინდება,
პაწაწინა ლარისა.

დარია და რა დარია,
მზე იცინის ლალისა,
გზა მშვიდობის, ჩუკოტკელო,
ირმისქუდა ლარისა.

[illegible]

ერთი ახირებული კაცის ამბავი

გურამ პეტრიაშვილი

ზღაპარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო ერთი კაცი.

ვერაფერ ცუდს იმ კაცზე ვერავინ იტყოდა ქალაქში, ოღონდ ეს იყო: აჩემებული ჰქონდა, გინდა თუ არა, ვანათებო. რომ დაღამდებოდა, მივიდოდა რომელიმე ოჯახში და სთხოვდა, შუქი ჩააქრეთო. ქალაქში ყველამ იცოდა მისი ამბავი, ამიტომაც არ ედავებოდნენ, გაიღიმებდნენ და ჩააქრობდნენ შუქს.

ნახატები ვახტანგ გულისაშვილისა

კაცი ერთხანს დადგებოდა ოთახის შუაგულში და ელოდა, აი, ახლა გავანათებ სახლს და აი, ახლაო. მერე ამოიოხრებდა და იტყოდა:—მაპატიეთ, დღეს რატომღაც ვერ ვანათებო.—სინანულით გააყოლებდნენ თვალს და იტყოდნენ:

— ახირებული კია, მაგრამ მაინც კარგი კაციაო...

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ყველა სახლში ასე მშვიდად არ უცქეროდნენ ამ კაცის უცნაურობას. ბევრჯერ კიბეზეც დაუგორებიათ, პანღურიც მიუყოლებიათ და ძაღლებიც მიუსევნიათ—„ეცი, ეცის“ ძახილით.

ხანდახან მახლობლები ეტყოდნენ:—რა ძალა გადგას, თავს შარში რომ იგდებ, სხვაგან რას მიდიხარ, იჯექი შინ და ანათე შენთვისო.

— ჩემთვის?—გაიღიმებდა კაცი,—ვერა, ჩემთვის ვერ ავენთებიო.

— ჰოდა, იყავი ეგრეო,—ჩაიცინებდნენ და გაეცლებოდნენ.

ერთხელ ვილაცამ უთხრა:—რახან ანათებ, მაღლიდან აბაჟურიც უნდა გეხუროს, რომ ყველაფერი წესისა და რიგის მიხედვით იყოსო.

ამ ჩვენს კაცს ხუმრობა არ ესმოდა. ამიტომაც ეს რჩევა არ სწყენია და არც გაჰკვირვებია. პირიქით, ჭკუაში დაუჯდა. გაყიდა სახლში რაც რამე ჰქონდა და უამრავი აბაჟური იყიდა. ამის შემდეგ გასანათებლად წასვლას რომ დააპირებდა, ამოირჩევდა რომელიმე აბაჟურს და დაიხურავდა თავზე.

ქალაქში თითქმის ყველა სახლში იყო მისული, მხოლოდ ერთ სახლს ერიდებოდა.

იქ ერთი მარტოხელა ქალი ცხოვრობდა.

ქალმა მეტად ლამაზი სიცილი იცოდა და, კაცი სულ იმაზე ოცნებობდა ხოლმე, როგორ აენთებოდა იმ ქალის წინ.

მერე თქვა:—მორჩა, დღეს უნდა გადაწყდეს ყველაფერიო—და, შინ დაბრუნდა.

დიდხანს არჩევდა აბაჟურებს. ბოლოს, როგორც იქნა, ამოარჩია ყველაზე ლამაზი, შვიდფერად მოხატული აბაჟური, დაიხურა თავზე და გასწია იმ ქალის სახლისაკენ.

ქალს სტუმრები ჰყავდა. კაციც ღიმილით შეი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პატიჟა—მობრძანდითო. ქალის სტუმრებს მაინცდამაინც არ გახარებიათ კაცის მოსვლა. აქამდე ისინი სხვადასხვა ამბებს ჰყვებოდნენ და ცდილობდნენ ქალი გაეცინებინათ. ეტყობა, მათაც ძალიან მოსწონდათ ამ ქალის სიცილი. „ეს რაღას მოეხეტაო“, იფიქრეს ბრაზით.

კაცმა, როგორც იქნა, ენის ბორძიკით სთხოვა დიასახლისს, შუქი ჩააქრეთო.

ჩააქრეს შუქი.

„ახლა ავენთები, ახლა ავენთები, ახლა ავენთებიო...“—რამდენჯერმე გაიმეორა გულში კაცმა. იგრძნო, კიდევ წამიც და ავენთები, ავბდღვრიალდებიო...

მაგრამ უცებ გაიგონა, როგორ ხითხითებდნენ სტუმრები და მათ ხითხითს ქალის სიცილიც დაემატა.

ახლა ამ სიცილში დაცინვა იყო და კაცმა ველარ გაუძლო ყოველივე ამას.

კარისკენ გავარდა სიბნელეში, გზად სკამს დაეჯახა, გადააყირავა და თვითონაც წაიქცა. წამოხტა, გავარდა, დაეშვა კიბეზე...

გარბოდა, სიბნელეში ხეებს აწყდებოდა, ეცემოდა, დგებოდა და გარბოდა ისევ. ეკლიანი ბუჩქები უკაწრავდნენ სახეს და ხელებს... გარბოდა... „აჰა, კიდევ ცოტაც და, დამთავრდება ჩემი წვალებაო“,—ამასლა ფიქრობდა.

იქით დიდი მდინარე იყო და მდინარისკენ გარბოდა კაცი.

უცებ რაღაც ხმა მოესმა და შედგა. მოეჩვენა, რომ უკანიდან მოსძახოდნენ და კინაღამ გული გაუსკდა სიხარულით,—იქიდან ხომ მხოლოდ იმ ქალს შეეძლო დაეძახა...

მაგრამ რომ მიაყურა, მიხვდა, ხმა იქიდან ისმოდა, საითაც თვითონ გარბოდა.

— მგონი ვილაც მორბოდაო,—ამბობდა ვილაც.

— ჰო, მეც ეგრე მომესმაო,—პასუხობდა მეორე.

— ვინ მოდისო?—იკითხა პირველმა.

კაცისთვის უკვე ყველაფერი სულერთი იყო. გაეცინა თავის თავზე და ნაღვლიანად უპასუხა:

— მე ვარ, კაცი, რომელიც ანათებსო.

— რომელიც ანათებსო?—იკითხა ერთმა და ხმაზე შეეტყო, რომ ძალიან აღელდა.

ცოტაც და მეორემ წამოიძახა:

— აი, ხომ გეუბნებოდი, ის აუცილებლად მოვა-მეთქი!

ეტყობოდა, ისიც საშინლად ღელავდა.

კაცმა გაიცინა:

— თქვენც დამცინით, არა?

— ოჰ, რას ამბობ, რამდენი ხანია შენ გელოდებითო,—თქვეს და, კაცი მიხვდა, არ ტყუოდნენ.

თავბრუ დაახვია სიხარულმა...

— ერთი, ორი და სამიო,—თქვა და, უცებ მართლაც განათდა მის ირგვლივ.

— ვანათებ!—ამოიოხრა კაცმა, ფეხი მოეკვეთა და მიწაზე დაჯდა.

გონს რომ მოეგო, მიმოიხედა.

მის წინ მხოლოდ ვარდის ბუჩქი იყო.

— ეს შენ მელაპარაკებოდი?—ჰკითხა კაცმა ბუჩქს.

— ჰო, მე ვიყავი და ჩემი სტუმარიო,—უთხრა ბუჩქმა და კაცმა ახლა შეამჩნია, რომ ერთ ტოტზე ბულბული იჯდა.

— უმთვარო ღამეში მე ვერა ვმღერი და ეს იყო ჩემი სადარდელი, ახლა კი ნახე, როგორ ვიმღერო,—უთხრა ბულბულმა კაცს და დაიწყო სტვენა.

სიხარულით გაბრუებულ კაცს აღარც კი მოჰგონებია, რომ ადრე არასოდეს ულაპარაკია არც ბუჩქებთან და არც ჩიტებთან, იჯდა ბუჩქის ძირას და ბულბულს უსმენდა.

მეტად კარგი სანახავი იყო: ფერადი აბაჟურით თავშემკული მნათი კაცი, მისი შუქით განათებული ვარდის ბუჩქი და ვარდის ტოტზე მომღერალი ბულბული.

მას შემდეგ კაცს ყველგან და ყოველთვის შეეძლო ანთებულიყო, მაგრამ სახლებში აღარასოდეს შესულა. უმთვარო ღამეებში მოდიოდა ვარდის ბუჩქთან და უნათებდა ბულბულს.

ხანდახან, უნებლიეთ, სადმე ბნელ ქუჩაშიც აენთებოდა ხოლმე და ამის მნახველნი, მეორე დღეს ყველას უყვებოდნენ, ასე და ასე—იყოთ იმათ, ცხადია, ეს არ სჯეროდათ და კაცს ეკითხებოდნენ:—მართალიაო? ის კი თავს დახრიდა და ღიმილით პასუხობდა:—არა, რამდენი ხანია მაგ სისულელეებს თავი დავანებე, ალბათ მოგეჩვენათო.

და მხოლოდ ერთმა ადამიანმა იცოდა მისი საიდუმლო.

მაშინ, კაცი რომ გავარდა სახლიდან, ქალმა ინანა, არ უნდა გამცინებოდაო. გამოუდგა კაცს... და შემდეგ შორიახლოდან კაცისა და ვარდბულბულის საუბარიც მოისმინა და ისიც ნახა, როგორ აენთო კაცი.

დაივიწყა ქალმა თავისი ლამაზი სიცილი, დანაღვლიანდა და სტუმრებიც უკვე აღარ მოდიოდნენ მის სახლში.

ყოველ უმთვარო ღამეში ქალი მიდიოდა მდინარისაკენ, ამოეფარებოდა ხეს, მიეკვროდა ტანით და ელოდა კაცის მოსვლას.

უცქერდა, როგორ აენთებოდა კაცი, როგორ იწყებდა ბულბული სტვენას.

უსმენდა ბულბულს, უცქერდა კაცის ნაღვლიან სახეს და ოცნებობდა ქალი.

დიდობას ვნატრობ

ნაზი თარგამაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეტავ ვიცოდე დიდები
ბავშვობას რატომ ნატრობენ.
დედიკოს ვფიცავ, ჩვენს სახლში
დიდობა ძინდა მარტო მე.
ან დედა ვიყო, ან ბებო,
ანდა დეიდა სოფიკო,
ტყუპებიც ჩემი იქნება,
დეიდა ნინო რომ ვიყო.
პატარა თაძუნია ვარ,
საფიქრალი მაქვს მრავალი,
ან დედა როდის ვავხდები,
ანდა— დეიდა თამარი.

ნახატები **ზაურ დეისაძისა**

ერთი ხუთზე

შევიკრიბეთ ხუთი ბავშვი,
გვქონდა ერთადერთი ბურთი.
გავიყავით ათი ვაშლი,
წაბლი—ორჯერ ოცდახუთი.

გელას ნუგა აღმოაჩნდა,
თითო ნუგა შეგვხვდა ყველას.
ორი დარჩა ზედმეტი და
დავუტოვეთ ისევ გელას.

ვიდრე თამაშს დავიწყებდით,
შენც მიხვდები, ჩემო ზურა,
ბურთის გარდა—რა და როგორ
გავიყავით ყველამ ძმურად.

მხოლოდ ბურთს ვერ შევეღიეთ,
ვერ გავყავით ერთი ხუთზე,
აქეთ, იქით, ზევით, ქვევით,
ტაციობა გვქონდა ბურთზე.

თხილი

ნუნუ ლაღიძე

მეზობლის ბავშვებს: ვასიკოს, ლევანს, რუსუდანს, გოგის და ნათელას ბებია ნინოს ეზოს ღობესთან უყვართ თამაში. დღესაც აქ შეკრებილან სათამაშოდ... ჭიშკარში ბებია ნინო გამოჩნდა, მეზობელთან მიდიოდა.

ვასიკომ ბებია ნინო რომ დაინახა, ლევანს ყურში რაღაც ჩასჩურჩულა. ლევანმა ჯერ მხრები აიჩეჩა, მერე უხმოდ მოსცილდა იქაურობას.

ბავშვებმა თამაში განაგრძეს.

შემდეგ ლევანიც მოვიდა, ხალათის უბე ჩენჩოიანი თხილით ჰქონდა სავსე.

— მოდით, ვჭამოთ,—დაუძახა ვასიკომ ბავშვებს,—ნინო ბებიას თხილისაა!

— არ მინდა,—იუარა რუსუდანმა.

— არც მე მინდა,—თქვა გოგიმ და ზურგი შეაქცია ვასიკოს.

— ნათელა, შენ მაინც მოდი, არ გიყვარს? ნახე, რა თხილია, ბალღურია!

ნათელამ ჯერ არაფერი უპასუხა, მხოლოდ ტუჩი აიბზუა და მერე თქვა:

— მოპარულს არ გეახლებით!

— მაშინ არც მე ვჭამ, რისთვის მომატანინე!—შეუბღვირა ვასიკოს ლევანმა და გაბრაზებულმა თხილი იქვე მწვანეზე დაუარა.

— მოდით, ჭამეთ რა, მარტო ჩემთვის კი არ მოვატანინე!—ახლა ვასიკომ დაუწყო პატიჟი ამხანაგებს, მაგრამ რუსუდანი, ნათელა და გოგი უხმოდ მოცილდნენ იქაურობას. გაწბილებულმა ვასიკომ და ლევანმა კი ერთმანეთს დაუწყეს ბუზღუნი:

— სულ შენი ბრალია, რად გამგზავნე!

— მე ისე გითხარი, შენც ნუ წახვიდოდი, რა!—თავს იმართლებდა ვასიკო.

ნახატი **მანანა ჯავახიშვილისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაცივარი

თინათინ კვირიკაძე

მელაკუდა ერთ დილას
გაძვრა აქეთ-იქითა,
იქვე მაღაზიაში
მაცივარი იყიდა.
ტურამ უთხრა:—დაიკო,
ვიცი, ძუნწი არა ხარ!
რა იქნება, მაცივარს
მეც მოვიხმარ ხანდახან.
ამის შემდეგ ყოველდღე,
რაც კი კარგი რამ ჰქონდა,
ტურას შესანახავად
მელიასთან აჰქონდა.
დრო გავიდა... და თქვენს მტერს,
ტურას თავს რაც გადახდა:
ერთ მშვენიერ საღამოს,
არაფერი არ დახვდა...
მელას, ტურას ნაყიდი
ქათამი და წიწილა,
ყოველგვარი სურსათი,
შეეჭამა პირწმინდად...
ის დღე იყო და ის დღე—
წუწკ და მსუნაგ მელიას
სამეზობლოდ, სამოყვროდ
არვინ გაჰკარებია!

ნახატი **გესო ხიდაშელისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიძინა მინდაძე

ვის ძაღლი ჰყავს ბომბორა,
თეთრი, როგორც თოდია,
როგორც ბურთი მიგორავს
გაბადრული ბროდია.
ვის ჰყავს თეთრი კურდღელი,
ვის — ნახატი ტუშით —
კატა თავის კნუტებით,
ვის კი — თუთიყუში.
ვის — ფრინველის ფიტული,
ვის — ნამდვილი მტრედი,
ღექსოს — მთელი კუნძული,
მთელი აიღენდი.
ამ კუნძულზე სეირნობს
და არ იცის დარდი.
მოჰყავს ცისფერ სეინერს
მეგობრები ნალდი.
გაშლილია მარაოდ
ტყე შრიალა ფიჭვის.
ხიდან ხეზე ქანაობს
მაიმუნი ჭიჭი.
კუნძულია ისეთი
ღამაზი და მწვანე,
ცაზე ვარსკვლავს მისწვდები,
როცა გაშლი მკლავებს.
აქ ავად არ გახდება
არასოდეს ბავშვი.
აიბოლიტს წამლები
ჩაუყრია ზღვაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აიღენლი

ნახატი **მანანა მორჩილაძისა**

ჩამოვიდა ბაჭია,
ჰატიც—დიდი სპილო...
რა ყოჩაღი ბიჭია
ჩვენი ჩიპოლინო,
ჩვენი ნაცარქექია,
ჩვენი ხუთკუნჭუა...
კუნძულს ვინ არ ეწვია,
ვინ არ ინახულა...
ყველას მოთვლას ადვილად
სულ ამაოდ ვცდილობ,
მშვენიერი მაღვინა
მოჰყავს ბურატინოს.
აიღენდი—კუნძული,
ვუყურებ და ვტკბები,
ვაზივით დახუნძლულა
ნალდი მეგობრებით.
— რად ვიქნები მშიშარა?
იყოს მტერი ახლოს,
ჩემი ხარი წიქარა
აქვე დაბაღახობს.
— ვინ ჩაკეტავს გზა-შარას?
ვინ დაჩაგრავს ობლებს?
ძმობა რწყილმა მასწავლა,
კობლის გათლა—კობლემ.
კუნძული მაქვს ისეთი
ღამაზი და მწვანე,
ცაზე ვარსკვლავს მივწვდები,
თუკი გავშლი მკლავებს.

ორი მეგობარი

ალიმარდან იოსელიანი

ორი მეგობარი შორეული ქვეყნიდან გემით შინ ბრუნდებოდა. უეცრად ზღვაზე საშინელი ქარიშხალი ამოვარდა და გემი უცხო ნაპირზე გარიყა. მგზავრობით დაღლილი, შეშინებული მეგობრები დიდი წვალების შემდეგ ხმელეთზე გადავიდნენ და დასასვენებლად ერთი ხის ჩრდილში მდელოზე წამოწვნენ.

ამ დროს გზაზე იმ ქვეყნის ხელმწიფემ ჩამოიარა. შეიტყო, ვინც იყვნენ და ორივე თავისთან მიიპატიჟა. მგზავრებმა არ იუარეს და ხელმწიფეს სასახლეში ეწვივნენ.

მასპინძელმა ღირსეულად მიიღო სტუმრები. ორივე მეგობარი მთელი თვე თავისთან—სასახლეში ამყოფა, კარგი ასვა და კარგი აჭამა, ბუმბულის ღოგინში მოასვენა; მოკლედ, ჩიტის რძეც კი არ მოაკლო, მაგრამ რად გინდა—სტუმრებს არც მოსვენება ჰქონდათ და არც ძილი.

— რა გემართებათო?—ჰკითხა შეწუხებულმა მეფემ სტუმრებს.

— ისეთი არაფერი, მეფეო! მასპინძლობისათვის მადლობელი ვართ, მაგრამ... ჩიტი რომ ჩიტია, ისიც კი მხოლოდ თავის ბუდეშია მოსვენებული; უცხო ქვეყანაში, სხვის ჭერქვეშ, თუნდაც ბუმბულის ღოგინში, რა მოგვასვენებსო!—უთხრეს მეგობრებმა მეფეს.

ნახატი **თამაზ ხუციშვილისა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამი

გივი ჟიჟინაძე

როდის ჩნდება, იცით, ნამი?
მხოლოდ ღამით, შუაღამით.
გაახარებს ვარდს და სოსანს,
მერე ელის მზის ამოსვლას.
მზეს შეხედავს ერთი წამით
და მაშინვე ქრება ნამი...

ნახატები **გესო ხიდაშელისა**

ვაი, სირცხვილო, სირცხვილო

ვაი, სირცხვილო, სირცხვილო!
გაჩერებულო წისქვილო,
აბლავლებულო პირუტყვო,
ფრთაჩამოყრილო წიწილო,
გაუფურჩნავო ვენახო,
მზისთვალმა როგორ გიხილოთ,
როცა მშველელი გჭირდებათ
და უსაქმურად ზის ილო...

მელია—პინგვინი

უშანგი გედია

მესამე დღე იყო, ტყეში გადაუღებლად წვიმდა. მშიერ-მწყურვალი მელია სოროში იწვა და თვლემდა. ბარე ათჯერ მაინც გაიძურწა წვიმით ჩამოქურუხებულ ტყეში, მაგრამ ვერაფერი მოიხელთა საკბილოდ.

— აბა, რა არის ჩემი ყოფნა, წუთისოფელს სულ ტყეში ვატარებ, ჩემთვის არც საჭმელია და არც სასმელი,—ფიქრობდა მთვლემარე მელია.

ძალიან უნდოდა დაეძინა, ცოტა ხნით მაინც მივწყებოდა შიმშილი, მაგრამ დაძინებისაც ეშინოდა: წელან ერთი წასთვლიმა და იმ წუთში ჭრელ-ჭრელი, მსუქან-მსუქანი დედლები დაესიზმრა.

— არა, ასე ცხოვრება არ შეიძლება, წავალ ქალაქში, მივდგებ-მოვდგები,—ლუკმა პურს მაინც ვიშოვი!—თავისი გადაუწყდა მელიას. აიკიდა გუდანაბადი და ქალაქის გზას გაუდგა.

— ახი არ იქნება ჩემზე,—ფიქრობდა გზაში,— ხელი მტაცონ და ზოოპარკში მიკრან თავი! არა, გეთაყვა, იქ ტყვეობას, ისევ ტყეში შიმშილი მირჩევნია!

ქალაქში გამთენიისას ჩავიდა. ფრთხილად შემოირბინა რამდენიმე ეზო. იქაურობა მიყრუებულ-მოყრუებულა. კაცის ჭაჭანება არ იყო. ყველას ეძინა. ეზოებში კი მხოლოდ მანქანები იდგნენ. უცებ, იქვე, ხეზე, ნაცნობ ყვავს მოჰკრა თვალი და გაუხარდა, გამოელაპარაკა კიდეც, მაგრამ ყვავი გაფუყული იჯდა ტოტზე და ხმას არ სცემდა.

— მეხიც შენ დაგაყარე! დაავიწყდა, ჩემი მონარჩენი მძორით რომ გაჰქონდა თავი.—ჩაილაპარაკა გულმოსულად მელიამ და ვიღაცის ფეხის ხმაც მოესმა. მანქანის ქვეშ შეძვრა და იქიდან მიაყურა ხმაურს: ეზოში გრძელულვაშა, შავხალათიანი კაცი შემოვიდა, ხელში მელიის კუდისნაირი, გრძელი, ჯოხისტარიანი ცოცხი ეჭირა.

— ესღა მაკლდა!—გაიფიქრა და შიშით ფეხისგულებმა ტეხვა დაუწყო. კაცმა ასფალტზე წყალი მიასხ-მოასხა და ეზოს დაგვას შეუდგა. მელიამ გული დაიმშვიდა. მეეზოვე ისე მარდად უსვამდა ცოცხს, შეშურდა:

— რა დიდი რამე ქუჩის დაგვა ყოფილა! დადექი და აქნიე კუდი, საჭმელიც გექნება და სასმელიც!

ცოტა ხნის შემდეგ ნაგვის სუნი დადგა, ხველა აუვარდა.

ნახატები მანანა მორჩილაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სულ ტყის ჰაერს არ ჰგავს!—ჩაილაპარაკა და მანქანიდან გაზონებში გადაძვრა, მეეზოვემ არ შემამჩნიოსო. გაზონიდან ქუჩის პირას გადავიდა და, უცებ მოხუცი დაინახა, მოხუცი სკამზე იჯდა, მუხლებზე თოფი დაედო და თვლემდა.

მელიას მუხლები აუკანკალდა, გაქცევა უნდოდა, მაგრამ ფეხები არ დაემორჩილა. ის იყო, ძალა მოიკრიბა და ისევ გაზონებში უნდა შეეყო თავი, რომ იმ კაცის ხმაც მოესმა:

— ო, მელაკუდავ, აქ საიდან გაჩნდი!—მელია ადგილზე გაქვავდა. იფიქრა ამ თოფიან კაცთან ჩათრევას ჩაყოლა ჯობიაო და ეშმაკურად მიესალმა.— თავი დაუკრა.

— ზოოპარკიდან ხომ არ გამოიპარე?—ღიმილით თქვა თოფიანმა კაცმა.

ცოტა არ იყოს, ეწყინა მელიას შეკითხვა, მაგრამ ხომ არ შეიმჩნევდა:

— ტყიდან ჩამოვედი!

— კეთილი,—თქვა თოფიანმა კაცმა,—მოდი ახლოს, რა შორს დამდგარხარ, მთელი ღამე მარტო ვზივარ ამ საწყობის წინ, ხმის გამცემი მენატრება! რა ამბებია ტყეში?—მელიამ უხერხულად აიჩეჩა მხრები,—მოდი, შე, კაცო, ვილაპარაკოთ! შენ შენი თქვი, მე ჩემსას გეტყვი, მართლა ტყიური ხომ არა ხარ!

მელია შორიახლოს ჩაცუცქდა.

— ცუდ საქმეზე არ იქნები ჩამოსული ქალაქად,—თქვა დარაჯმა და პაპიროსს მოუკიდა.

მელია შეცბა, მოხუცი კეთილი კაცი ჩანდა და არჩია, გამოტყდომოდა:

— მუშაობა მინდა დავიწყო, აღარ მინდა ტყეში ცხოვრება.

— ტყეში გემუშავა, განა ცოტაა საქმე?—კეთილად გაიღიმა დარაჯმა,—შენს ფუძეს არ უნდა უღალატო!

მელიამ თავი უხერხულად იგრძნო.

— კარგი!—განაგრძო მოხუცმა,—მაგრამ რად გინდა, რომ იცხოვრო ქალაქში?

აქ კი მელია მოიკუნტა, თავი მოიხაწყლა.

— რახან მუშაობა გადაგიწყვეტია, მე დაგეხმარები,—თქვა მოხუცმა,—ოღონდ ერთი პირობით, მოდი აქეთ!—მელია წამოხტა და გვერდით მიუსკუპდა,—სახე უნდა შეგიცვალო,—ზურგზე გადაუსვა ხელი დარაჯმა. მელია კიდევ უფრო მოიკუნტა:

— ეჰ, მივხვდი, რა ცუდი ყოფილა სახელის გატეხვა,—ამოიოხრა და ცრემლი მოერია.

— ნუ გეშინია, ცხვირსა და ბეწვს შავად შეგიღებავ, კუდი ცოტა დავამოკლოთ და, მორჩა! კაციშვილი არ დაიჯერებს რომ ძაღლი არა ხარ; აბა, მელიას სამსახურში ვინ მიგიღებს!

ერთ მშვენიერ დღეს ქუჩაში გამოჩნდა მოხუცი დარაჯი, რომელსაც ძაღლი მოჰყავდა. ძაღლს ჭრელი საყელო ამშვენებდა, წარბები და წამწამები მზის სხივებზე ულაპლაპებდა. ტანზე ბეწვი წაბლისფრად უბზინავდა, კუდი მშვენივრად ჰქონდა შეკრეჭილი.

— რა ლამაზი ჯიშის ძაღლია, პაპა ვამეხ!—ეუბნებოდნენ მოხუცს მეზობლები.

— აბა, მა რა!—სიამაყით ამბობდა და თან გულში უხაროდა, რომ მელიას ძაღლისაგან ვერ არჩევდნენ. დაასეირნებდა მოხუცი მელაკუდას და ქალაქს აცნობდა.

გავიდა ხანი, ვამეხმა იგი მეფრინველეობის მაღაზიაში გამყიდველად მოაწყო, არავის აზრად არ მოსვლია, რომ მელია იყო.

მუშაობდა მელია, სწონიდა და ჰყიდდა ქათმებს, თან ნერწყვს ყლაპავდა.

— დაკლული რა არის და, ცოცხალი რა იქნებოდა ეს ყინწმოწყვეტილი მამალი, ხი, ხი, ხი,— ჩუმად ხითხითებდა მელია,—რამდენი დღე უთენებია თავის ყიყლიყოს ძახილით, ახლაც იყივლოს!— და ბრაზმორეული სასწორზე დაახეთქებდა ხოლმე მამალს. ასწონიდა და ბოლმით სკდებოდა:

— ასე რამ დაამძიმა, ჩემს დროს ცარიელი ბუმბული იყო, ჰაი, დედასა!

მუშაობისაგან ოფლი ასხამდა და წარამარა სარკეში იხედებოდა, საღებავები რომ არ ჩამოსვლოდა სახეზე და არ ეცნოთ.

არც ამდენი ხალხი მოსწონდა მაინცდამაინც.

— მარტო მე არ მყვარებია ქათამი!—გაიცინებდა ხოლმე გულში და ირონიულად შეათვალიერებდა შემოსულ მუშტარს.

ასე მიდიოდა წლები. მელია სუქდებოდა. ბოლოს ისე გასუქდა და გაკეთდა, პინგვინს დაემგვანა. ქალაქში ბინა მიიღო, ხოლო მოხუც ვამეხს წელიწადში ერთხელ თუ ინახულებდა. მალე სულაც მიივიწყა.

ერთხელ ქალაქში ხმა გავარდა, პინგვინი დაიჭირესო. ვამეხ პაპამ ეს ამბავი რომ გაიგო, გული დასწყდა, მაგრამ აბა, რა უნდა ეშველა: პინგვინს წონა-ხურდაში მოტყუილება ედებოდა ბრალად.

გაასამართლეს.

ჯერ იფიქრეს, აქაო და, რადგან პინგვინია, ჩრდილო ყინულოვან ოკეანეში გადავასახლოთო. მერე ისიც იფიქრეს: პინგვინი თუ ჩრდილო ყინულოვან ოკეანეში გადავასახლეთ, მაგასაც ეგ უნდაო და, აიღეს და სამხრეთის ტყეებში უკრეს თავი, პირდაპირ იმ ტყეებში, საიდანაც ჩამოვიდა.

აბა, რა იცოდნენ, რომ პინგვინსაც,—პინგვინს კი არა, მელიასაც ეს უნდოდა.

მაგრამ ერთი სადარდელი აქაც გაუჩნდა: ველარც თავის სოროში შეეტია და ველარც მეზობელმა მელიებმა იცნეს. ღამეებს ხის ძირში ათევდა თვალებდაფეთიანებული და აკანკალებული.

მერე კი, რომ გახდა და გაძვალტყავდა, საღებავი რომ გადასცილდა, კუდიც რომ დაუგრძელდა, მაშინღა იცნეს მეზობლებმა.

და, თავის სოროშიც მაშინ შეეტია.

ბაჭია

კ. გოგიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო ერთი ბაჭია,
ეშმაკი და ჰრანჭია,
მოენატრა საბილო,—
მოიპარა სტაფილო.

გამოეცთო მურია,
მოახია ყურია.
შინ დაბრუნდა ქურდი—
მოგლეჯილი კუდით!

ვის რა უყვარს?!

— რას მიირთმევს მგელი?

— რას მიირთმევს მელა?

— რას მიირთმევს დათვი?

— რას აგროვებს ციყვი?

— რას მიირთმევს ზღარბი?

— რას დარაჯობს კატა?

— რას ხრავს მურიკელა?

ლეჯუსი

9

შეადგინა ქ. გურჯაანის საშუალო სკოლის მოსწავლემ ლადი ზალიშვილმა.

ქ. [illegible] სახ. [illegible] სკო[illegible]
[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულელი მონადირე, ნახატი ედუარდ ამბოკაძისა

მთავარი რედაქტორი მუხრან მაჭავარიანი

სარედაქციო კოლეგია: ანზორ აბულაშვილი, ედუარდ ამბოკაძე, კუკური გოგიაშვილი, ლეილა ერაძე, მაყვალა მრევლიშვილი, ჯიმშერ მუჯირი, გიორგი როინიშვილი (სამხ. რედაქტორი), იორამ ქევერტელიძე (პ/მგ. მდივანი) რობერტ ღარიბაშვილი, გივი ძველაძე

ხალ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

Издательство ЦК КП Грузии

ხალ. ალკკ ცკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ჟურნალი. ყდაზე ნახატი თამაზ ხუციშვილისა

გამოცემის 49-ე წელი.

ტექრედაქტორი ენდი ფერეთელი

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: მთ. რედაქტორის—93-41-30, 93-98-15; პ/მგ მდივნის — 93-10-32, 93-98-17; სამხ. რედაქტორის —93-98-18; განყოფ. — 93-98-19; სამდივნოსი — 93-98-16.

გადაეცა ასაწყობად 20/V-76 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 9/VII-76 წ., ქაღალდის ზომა 60×90 1/8. ფიზ. ნაბ. ფურც. 2,5, ტირაჟი 157.250. შეკვ. № 1828. „Дида" № 8. на грузинском языке. ფასი 20 კაპ.